21/11/2024

MES 8 24 0001505510

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები**:

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პეტრე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თამარ რატიანიძე -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**მარი მგელაძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**თეა ლილუაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**რუსუდან ზვიადაური** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ქეთი მუთიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლა:**
თამილა ქურხაშვილი -სკოლის დირექტორი

**შპს სკოლა მილენიუმი:**
გურამ ბურდილაძე- სკოლის დირექტორი

**სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა:**
მაია ზაზიკაშვილი -სკოლის დირექტორი

**სსიპ- ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის №2 საჯარო სკოლა:**
ჯონდო ბოჭორიშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლა:**
ნონა მელაძე - სკოლის დირექტორი

**სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლა:**
ინეზა ბოკუჩავა- სკოლის დირექტორი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):**

**შპს სკოლა მილენიუმი:**

ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ღაჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა:**

ა)გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა თავაძე-ასათიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეკა ტყავაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მურჯიკნელი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის №2 საჯარო სკოლა:**

ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა დარსაველიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ცირა ბრეგვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ)ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი ბერიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე(ზოგადი გმანათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლა:**

ა) ნანა სარალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამი ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ციცინო მექოშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ქოქუაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქალაქ აბაშის №1 საჯარო სკოლა:**

ა) თეა ელერდაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავით ჩოჩიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა სამხარაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 11 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. შპს სკოლა მილენიუმის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ -ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**1. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა**

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. დაწესებულებამ 2024 წლის 09 სექტემბერს წარმოადგინა სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სადაც ასახულია, რომ სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ არის საფრთხის შემცველელი. აღნიშნული დოკუმენტი შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

**2. შპს სკოლა მილენიუმის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 30 სექტემბერს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადი. მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურდა შეეცვალა მისამართი და ნაცვლად ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა N3-სა, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები განეხორციელებინა შემდეგ მისამართზე:
ქალაქი რუსთავი XXIმ/რ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 21 ივნისის N726188 გადაწყვეტილებით კი, დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 165-ით.
მაკა ტუკვაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული წარმოებების ფარგლებში დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის (მე-3 სტანდარტი) პირობების შესრულების შემოწმება. ექსპერტის თქმით, აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო, ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის შეთანხმება განათლების,

მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ასევე, ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევა, სკოლას დროულად მოეხდინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმირება, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის/ ორგანოს არსებობის შესახებ.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ორსართულიან შენობაში, პირველი სართული იყო სრულად კეთილმოწყობილი, ხოლო მეორე სართულს ესაჭიროებოდა კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა ყველა საჭირო რესურსი, საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, წიგნადი ფონდით გამდიდრებული ბიბლიოთეკა, ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი, სააქტო დარბაზი და სამედიცინო ოთახი.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ვიზიტის დროს არ ჰქონდა მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე პანდუსი, თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, სკოლამ გადმოაგზავნა პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა მილენიუმის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 16:14
**დასრულების დრო:** 16:21

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე** -10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $25^2$ -ე მუხლის მე-9 პუნქტისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს სკოლა მილენიუმის (ს/კ: 216373797) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შემდეგ მისამართზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი რუსთავი. XXI მ/რ |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი რუსთავი. XXI მ/რ |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი რუსთავი. XXI მ/რ |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ნოემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრობის სამინისტროსთან შეთანხმებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**3. სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. მისი განცხადებით, სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1600. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1600 მოსწავლისთვის, ორი ცვლის პირობებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლადრეაბილიტირებული.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო, გარე სპორტული მოედანი და შიდა სპორტული დარბაზი, რესურს ოთახი, ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ადაპტირებული სველი წერტილები და სამედიცინო ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო დაწესებულების შიდა სივრცეში პანდუსის მოწყობის საკითხი.
სკოლის დირექტორის, მაია ზაზიკაშვილის, განმარტებით, დაწესებულებას, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, პანდუსის მოწყობის თაობაზე მიმართული ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლადრეაბილიტირებული და დაინტერესდა, რატომ ჰქონდა შიდა სივრცეში პანდუსის პრობლემა.
სკოლის დირექტორის განმარტებით, რეაბილიტაციის დროს პროექტში არ იყო გათვალისწინებული პანდუსის მოწყობა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა, ასევე, მისი თქმით, შეფასების რუბრიკები არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, დაეხვეწათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შეთანხმებული საათობრივი ბადე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ასევე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში აესახათ ინფორმაცია, ანაზღაურების შესახებ.
სკოლის დირექტორის, მაია ზაზიკაშვილის, განმარტებით, საათობრივი ბადე დაწესებულებას შეთანხმებული ჰქონდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ, აღნიშნა, რომ მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია დაწესებულებამ ასახა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდშივე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:50
**დასრულების დრო** - 16:55

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლას (ს/კ: 209469074) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქ. თბილისი, გლდანი II რ/ნ, ფორე მოსულიშვილის N33, |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქ. თბილისი, გლდანი II რ/ნ, ფორე მოსულიშვილის N33, |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქ. თბილისი, გლდანი II რ/ნ, ფორე მოსულიშვილის N33, |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 3.4, 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის, შიდა სივრცეში პანდუსების მოწყობისა და სამედიცინო პერსონალის დამატების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**4. სსიპ-ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ -ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 14 და 15 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 70. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 70 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“

ვერა ყურულაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ვერა ყურულაშვილის განცხადებით, დაწესებულებას 1-ელ სტანდარდტთან მიმართებით, მიეცა რეკომენდაცია შეემუშავებინა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც აქტივობები გაწერილი იქნებოდა დროში, ასევე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაეთვალისწინებინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის აქტივობები.

მისი განმარტებით, რთული აღმოჩნდა დაწესებულებაში არსებული კათედრების რაოდენობის დადგენა, ასევე, იმის განსაზღვრა, თუ რომელი მასწავლებელი რომელ კათერდას ეკუთვნოდა.

აქედან გამომდინარე, მესამე სტანდარდთან მიმართებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეედგინა საგნობრივი კათედრების დებულება და განესაზღვრა საგნობრივ კათედრებში შემავალი მასწავლებლები საგნების მიხედვით.
ასევე, ექსპერტის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შემუშავებინა თანამშრომელთა მიღების წესი (გარდა მასწავლებლებისა) და შეედგინა იმ დოკუმენტთა ჩამონათვალი, რომელიც კანონმდებლობის გათვალისწინებით აუცილებელად უნდა განთავსებულიყო სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეში. ასევე, უზრუნველეყო თანამშრომელთა პირად საქმეში კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის არსებობა. აგრეთვე, შეემუშავებინა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, სადაც მოცემული იქნებოდა შეფასებისა და საჭიროებების დადგენის კონკრეტული აქტივობები.
ვერა ყურულაშვილმა, განაცხადა, რომ პერსონალის განვითარების დოკუმენტი ან ამ მიზნით განხოციელებული რაიმე აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სკოლას უზრუნველეყო სკოლის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმის იდენტიფიცირება. ასევე, დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის განხორციელებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.
დაწესებულებას, მიეცა რეკომენდაცია მოეპოვებინა დასკვნები უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა წიგნების მწირი რაოდენობა, რომლებიც განთავსებული იყო დირექტორის კაბინეტში. სკოლაში არ ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეემუშავებინა სკოლის შესაძლებლობაზე მორგებული საბიბლიოთეკო სერვისით სარგებლობის წესი და მოეწყო ბიბლიოთეკა. აგრეთვე, სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მწირი იყო შესაბამისი ხელსაწყოებისა და ინვენტარის რაოდენობა, შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია უზრუნველეყო ყველა საჭირო ხელსაწყოთი, რეაქტივებით, შეექმნა ცდების უსაფრთხოდ ჩატარებისათვის გარემო, დაემონტაჟებინა გამწოვი კარადა და სველი წერტილი.
ექსპერტის, ვერა ყურულაშვილის, განმარტებით, მეოთხე სტანდარტდთან მიმართებით გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ, დაწესებულებას შეემუშავებინა მოსწავლეთა/დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მექანიზმი. ასევე, გაეთვალისწინებინა გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები სკოლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.
ექსპერტის, ვერა ყურულაშვილის, განმარტებით, საკლასო ოთახები იყო ნათელი და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. ასევე, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა კალათბურთის მინი-სტადიონი, რომელიც მდებარეობდა სკოლის ეზოში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები სერიოზული ხასიათის იყო, მისი მოსაზრებით, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებას სკოლა ვერ შეძლებდა ერთი წლის ვადაში. დაწესებულებაში იკვეთებოდა მნიშვნელოვანი პრობლემები და დგებოდა საკითხი,რამდენად ხარისხიან განათლებას იღებდნენ მოსწავლეები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ -ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 17:22
**დასრულების დრო** - 17:29

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე** - 8
**წინააღმდეგი** - 2

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ -ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 219634787) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმ ანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმა ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ტყიბულის მუნიციპალიტეტი,სოფელი მუხურა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ტყიბულის მუნიციპალიტეტი,სოფელი მუხურა |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

**მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**
**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2026 წლის ნოემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები**: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე, ინდიკატორებთან მიმართებით გაცემული „მეტწილი“ შეფასება საბჭოს წევრებმა შეცვალეს ,,ნაწილობრივი“ შეფასებით. საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებაში გამოვლენილი რეკომენდაციების შესრულების ერთწლიანი ვადა არ

იქნებოდა გონივრული არსებული ხარვეზების სრულად აღმოფხვრელად. აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის თქმით, სკოლას ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება სრულად უნდა უზრუნველყო გონივრულ, კერძოდ, 2 წლის ვადაში.

**5. სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ს აკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, ნანა სარალიძემ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 05 და 06 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა რამდენიმე შენობაში: სოფელ ჩიქუნეთში, სოფელ ვაკეში, სოფელ ქოქოლეთსა და სოფელ ზედა ქოქოლეთში. ხოლო სწავლება სამივე საფეხურზე მიმდინარეობდა სოფელ ჩიქუნეთის სკოლაში. მან წარმოადგინა სსიპ-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა გარე სპორტული მოედნები, ერთი კალათბურთისთვის და ფრენბურთისთვის, ხოლო, მეორე ფეხბურთისთვის, ასევე, დაწესებულებას ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით, ბიბლიოთეკაში იყო სახელმძღვანელოები, მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა, ასევე მოწყობილი იყო სამკითხველო სივრცე. რაც შეეხებოდა სხვა შენობებს, ექსპერტის თქმით, იყო მოწესრიგებული, თუმცა არ იყო შექმნილი ადაპტირებული გარემო.
ექსპერტის თქმით, სკოლამ, სოფელ ქოქოლეთში მდებარე შენობაზე, ვერ მიიღო შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დამაკმაყოფილებელი დასკვნა. მისი განმარტებით, აღნიშნულ სკოლაში სწავლობდა ერთი მოსწავლე და სკოლის წარმომადგენელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული მოსწავლე სწავლას გააგრძელებდა სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლაში. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას საკუთარ ვებ-გვერდზე ასახული ჰქონდა ოთხი სკოლის შენობა, ხოლო მოცემულ მომენტში კი მათ ვებ-გვერდზე იძებნებოდა სამი სკოლის შენობის შესახებ ინფორმაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზემოხსენებულ შენობაში აღარ იგეგმებოდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, შესაბამისად, საბჭოს სთხოვა

გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაეთვალისწინებინა აღნიშნული. აქვე, განმარტა, რომ აღნიშნული სოფელი წარმოადგენდა მეწყერსაშიშ ზონას და უსაფრთხოების მიზნით მოსახლეობამ დატოვა სოფელი.
ექსპერტმა, ნანა სარალიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“
ექსპერტ, ნანა სარალიძის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ნანა სარალიძემ, განაცხადა, რომ სკოლის ძირითადი კორპუსის სამედიცინო კაბინეტი სრულად იყო აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლას ხელშეკრულება დადებული ჰქონდა ექიმთან, რომელიც მხოლოდ ძირითად კორპუსში მუშაობდა. დანარჩენ სამ კორპუსში სამედიცინო კაბინეტი არ ფუნქციონირებდა და არ ჰყავდათ ექიმი/ექთანი. ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული იყო 15.10.2024- 15.10 2026 წლები. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება“. ექსპერტმა, ნანა სარალიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სათანადოდ მოწყობილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კერძოდ არ იყო გამწოვი კარადა, შესაბამისად, ექსპერტის თქმით, ვერ განხორციელდებოდა სხვადასხვა სახის ცდები, რის გამოც მოსწავლე სრულად ვერ მიაღწევდა კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული ჰქონდა 01.10.2024 – 01.10.2025 წლები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. აქვე, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში სათანადოდ უზრუნველეყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მატერიალური რესურსებით შევსება და მისი სრულყოფილი მოწყობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა სკოლის პოზიცია, სხვადასხვა სოფელში არსებულ სკოლის შენობებში, ექიმის აყვანასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, ნონა მელაძის, განმარტებით, ძირითად შენობაში ჰყავდათ ექთანი, ხოლო  სხვადასხვა სოფელში არსებულ სკოლის შენობებში, სამედიცინო პერსონალის აყვანასთან  დაკავშირებით ჰქონდათ მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან და ელოდებოდნენ პასუხს.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა იყო თუ არა მოასწავლეთა მხრიდან სკოლაზე მიმართვიანობა.

დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მოსწავლეთა მიგრაცია მნიშვნელოვნად შესამჩნევი იყო, შესაბამისად შეიმჩნეოდა მიმართვიანობის ზრდაც. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა ვებ-გვერდზე აეტვირთათ სკოლის შინაგანაწესი და ინფორმაცია, სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 17:55
**დასრულების დრო** - 18:03

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 248386795) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიქუნეთი<br>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ვაკე<br>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზედა ქოქოლეთი |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიქუნეთი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიქუნეთი |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 2.2. (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), 3.4, 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სოფელ ვაკისა და სოფელ ზედა ქოქოლეთის კორპუსებისათვის საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმების, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის, ასევე, სოფელ ვაკისა და ზედა ქოქოლეთის სასწავლო კორპუსებში სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და ამავე კორპუსებისთვის სკოლის ექიმის/ექთანის აყვანის, ძირითად კორპუსში ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობის, ხოლო სოფელ ვაკისა და ზედა ქოქოლეთის სასწავლო კორპუსების ადაპტირების, ასევე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მატერიალური რესურსებით შევსებისა და მისი სრულყოფილი მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე, ინდიკატორებთან მიმართებით გაცემული „მეტწილი“ შეფასება საბჭოს წევრებმა შეცვალეს ,,ნაწილობრივი“ შეფასებით. საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებაში გამოვლენილი რეკომენდაციების შესრულების ერთწლიანი ვადა არ იქნებოდა გონივრული არსებული ხარვეზების სრულად აღმოფხვრელად. აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის თქმით, სკოლას ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება სრულად უნდა უზრუნველყო გონივრულ, კერძოდ, 2 წლის ვადაში.

**6. სსიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, თეა ელდერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 02 და 03 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 800. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თეა ელდერაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“

თეა ელდერაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტის განმარტებით, შენობის ერთ-ერთ ფლიგელს ესაჭიროებოდა აღდგენა-გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოები. მისი თქმით, სკოლის დანარჩენი ნაწილი იყო კეთილმოწყობილი და ყველა ოთახს ჰქონდა ფუნქციური დატვირთვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტებს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი დეტალი წარმოედგინათ საბჭოს წევრებისთვის.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტის, ნათია კოხოძის განმარტებით, რჩევები ეხებოდა გამოყენებული რესურსების კურიუკულუმებში ასახვას. მისი თქმით, მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებებს და ჰქონდათ სრული მზაობა, გაცემული რჩევების გასათვალისწინებლად.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინა ინფორმაცია, სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, რამდენად აქტიურად იყენებდა სკოლა ე.წ. „ჯეოსელის ოთახს“.

ექსპერტ, თეა ელდერაშვილის, განმარტებით, დაწესებულება აქტიურად იყენებდა „ჯეოსელის ოთახს“, ასევე გაწერილი იყო დეტალური განრიგი, თუ რომელი კლასი, როდის გამოიყენებდა აღნიშნულ ოთახს.

საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

ექსპერტმა, თეა ელდერაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორი მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 18:34
**დასრულების დრო** - 18:40

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე** - 10
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სიპ - ქალაქ აბაშის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 222442774) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქ. აბაშა, ჯორჯიკიას ქ. №12 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქ. აბაშა, ჯორჯიკიას ქ. №12 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქ. აბაშა, ჯორჯიკიას ქ. №12 |

**საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:**

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 3.1, 3.4, 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები სექსუალური ძალადობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების,, შენობის მეორე ფლიგელში განთავსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისა და ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:45 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა